



სახელი, გვარი-----

თარიღი-----

IX კლასი

1) 5 კილოგრამი მარწყვის ფასად შეიძება ვიყიდოთ 6 კილოგრამი ალუჩა. რამდენი კილოგრამი ალუჩის ყიდვაა შესაძლებელი 7 კილოგრამი მარწყვის ფასად ?

ა) 8 kg

ბ) 8 kg 200 g

გ) 8 kg 400 g

დ) 8 kg 600 g

2) თუ მოცემულ დადებით რიცხვს ჯერ შევამცირებთ 60%-ით, ხოლო შემდეგ შევამცირებთ 50%-ით, მაშინ თავდაპირველი რიცხვი შემცირდება:

ა) 55%-ით

ბ) 75%-ით

გ) 80%-ით

დ) 100%-ით

3) ჩამოთვლითაგან რომელი რიცხვია მოთავსებული $\frac{1}{3}$ და 0,5-ს შორის?


ა) 0,3

ბ) $\frac{1}{4}$

გ) $\frac{3}{5}$

დ) $\frac{11}{24}$

4) წრიულ დიაგრამაზე მოცემულია მონაცემთა სიხშირული განაწილება. იპოვეთ 72° -იანი კუთხის შესაბამისი მონაცემის პროცენტული მაჩვენებელი?



ა) 72%

ბ) 60%

გ) 20%

დ) 25%

5) ამოზნექილი მრავალკუთხედის შიგა კუთხეების ჯამი 900° -ია. რისი ტოლია ამ მრავალკუთხედის წვეროების რაოდენობა?



- ა) 4 ბ) 5 გ) 6 დ) 7


6) ორი პარალელური წრფის მესამეთი გადაკვეთისას შიგა ცალმხრივი კუთხეებიდან ერთი მეორეზე 5-ჯერ მეტია. რისი ტოლია ამ კუთხეებს შორის უმცირესი?

- ა) 20° ბ) 30° გ) 40° დ) 50°

7) რიცხვი 32 გაყვეს ერთ-ერთზე შემდეგი ოთხი რიცხვიდან: 3; 4; 5; 6. მიღებული რიცხვი გაამრავლეს დარჩენილი სამი რიცხვიდან ერთ-ერთზე. ამის შემდეგ მიღებული რიცხვი გაყვეს დარჩენილი ორი რიცხვიდან ერთ-ერთზე. ბოლოს მიღებულს გამოაკლეს დარჩენილი რიცხვი, შედეგად მიიღეს 11. რომელი რიცხვი გამოუკლიათ?

- ა) სამი ბ) ოთხი გ) ხუთი დ) ექვსი

8) ჩამოთვლილი პასუხებიდან რომელი შეიძლება იყოს $y = -10x$ შესაბამისობის გრაფიკი?



9) ქილაში წყალი ყოველ წამში ორმაგდება. ქილა გაივსო 1 წუთში. რამდენ წამში გაივსება ქილის მეოთხედი?

- ა) 30 წამში ბ) 45 წამში გ) 15 წამში დ) 58 წამში ე) 59 წამში

10) $(5x - *)^2 = 25x^2 - \nabla + 16y^2$ ტოლობაში ∇ -ის ადგილზე უნდა ეწეროს:



ა) $40xy$

ბ) $30xy$

გ) $20xy$

დ) $10xy$

11) როგორ შეიცვლება ორი დადებითი რიცხვის ნამრავლი, თუ ერთს გავადიდებთ 50%-ით, მეორეს შევამცირებთ 50%-ით?

12) ორი რიცხვის ჯამი 3-ჯერ მეტია მათ სხვაობაზე, ხოლო მათი გარკვეებული ჯამი 30-ით მეტია მათ სხვაობაზე. რისი ტოლია ამ რიცხვების ნამრავლი?

13) კვადრატის დიაგონალი 6 სმ-ია. რისი ტოლია ამ კვადრატის პერიმეტრი?

14) ამოხსენი წრფივ განტოლებათა სისტემა:

$$\begin{cases} 5x + 2y = 15 \\ 2x - y = -3 \end{cases}$$

15) მართკუთხედის მცირე გვერდი 3 სმ-ია. დიდი გვერდის შეფარდება პერიმეტრთან არის 3:10. იპოვე დიდი გვერდი.